



25 მაისი, 2017 წელი
თბილისი, საქართველო

№ 81-ა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

და შპს “საქაერონავიგაციის” ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2016 წელი

COMPAUDI LTD

N95a Ak.Tsereteli str.,
Georgia, Tbilisi
Tel: + 995 032 2347619;
E-mail:compaudi@hotmail.com

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქაერონავიგაციის“ ხელმძღვანელობას:

ჩვენ განვახორციელეთ შპს საქაერონავიგაციის (შემდეგში, „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგებისაგან; საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისაგან; და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან ამავე წელს დასრულებული წლისთვის, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის განხორციელებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აუცილებელია იმგვარი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით განპირობებულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლითაც მოითხოვება ეთიკის ნორმების დაცვა ჩვენს მიერ და აუდიტის იმგვარად დაგეგმვა და ჩატარება, რომ მოვიპოვოთ უტყუარი რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობების არსებობის, რომლებიც შესაძლოა განპირობებული იყოს თაღლითობით ან შეცდომით, რისკების შეფასებაზე. ამ რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს სამეურნეო ერთეულში არსებული შიდა კონტროლის სისტემის შესაბამისობას სამეურნეო ერთეულის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენის თვალსაზრისით, რათა დაგეგმოს ისეთი აუდიტორული პროცედურები, რომელიც მოცემულ გარემოებებს შეესაბამება და არა იმისათვის, რომ შეაფასოს და მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მათ მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების საფუძვლიანობის შეფასებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანობაში.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს აუდიტორული დასკვნის გაკეთებისათვის.

დასკვნა

ჩვენი მოსაზრებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებით საკითხში სამართლიანად ასახავს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, ასევე მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადს ამ თარიღისათვის დასრულებული წლისთვის.

25 მაისი, 2017 წ.
თბილისი, საქართველო

